ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2025 წლის 02 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დოკუმენტის ნომერი 428-IIმს-XIმპ , ვებგვერდი, 04/04/2025 სარეგისტრაციო კოდი N 010100000.05.001.102559) შესაბამისად მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო უნდა გაუქმდეს და აღნიშნულის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები, კონკრეტულად „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №3 დადგენილება.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №3 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტით ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №3 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 26/01/2018წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016382).

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო და საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება: დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ ხარჯთან.

გ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

ე) სხდომაზე მომხსენებელი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ირაკლი კუჭავა**